

ჩემი პირადი


მონღინის (აბას-ბატის) მედიაზე, ჟორდანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციის და სტ. მედიკოსების სტამბაში. შალაქ გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи ВЪ редакціи газеты „Дროзба“.

ვაჭარის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.



გამოდის კვირკვირით, ოთხშაბათობით და პარასკეობით


განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მოაწერულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცილოთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქირება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.



სამსახურებში საქმის ვიწრო... თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი კისრულს უზახოდ უფრთხილდა, რომ თვითონის მანერის სამსახურს უფროსის ნოტარიუსისაგან აიღოს გირამბის მოწმობები იმ უძრავ მამულებზე, რომელიც ბატონებს თვითონის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულ ბანკში უნდათ დააგროონ. მსუფველებს შეუძლიანთ ნახონ ხსენებულ ვიწრო საადგილმამულ ბანკს სადგომში, ყოველდღე, კვირასა და უქმეებს გარდა, დღით — ცხრა საათიდან ათამდის და საღამოს — შვიდიდან რვაამდის.

საქართველო

„დროზბის“ მკითხველები

ძნელია, თითქმის შეუძლებელია, რომ ერთმა გაზეთმა მთელი საზოგადოება, ყველა მკითხველები დააკმაყოფილოს.

შვედს საზოგადოებაში, და მასა-სადამე ჩვენშიაც, იმდენ ნაიბი ხალხია, თვითუფრო ნაწილს ისეთი განსხვავებული მოთხოვნები აქვს, რომ ერთი ლიტერატურული ორგანოსათვის ყველა ამ სხვა და სხვა მოთხოვნებისათვის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

სხვაგან საქმე სულ სხვა ნაირად არის: ყველა საზოგადოების ნაწილს თავიანთი გაზეთი, განსაკუთრებული ლიტერატურა აქვთ და ეს გაზეთები, ეს ლიტერატურა ცოტათი თუ ბევრათ იმათ ტენის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ჩვენში კი ჯერ-ჯერ

რობით, საუბედუროთ, მხოლოდ ერთი გაზეთია და როგორ გვებათ, რომ ამ ერთმა გაზეთმა ყველას სურვილი შეასრულოს, ყველას გონებით მოთხოვნილება და იდეალი დააკმაყოფილოს?..

ზანათლებულ კაცს სხვა ნაირი გაზეთი უნდა და გაუნათლებელს სხვა ნაირი; თავადს სხვა და ვაჭარს კიდევ სულ სხვა ნაირი. მოხუცებულს ერთ ნაირი, ახალგაზდას მეორე გვარი.

ჩვენ ისეთი მკითხველები გვყავს, რომელიც გაზეთში თითქმის მარტო მოწინავე სტატიებს ჰკითხულობენ; ზოგნი არც მოწინავე სტატიებს, არც კორესპონდენტებს და არც უცხო ქვეყნების განყოფილებას თავის დღეში თვალსაც არ გადაეღებენ; მაგრამ მოვა თუ არა გაზეთი ყველაზე პირველად წარვეს მივარდებიან; სხვები მხოლოდ პოლიტიკას ადევნებენ თვალ-ყურს; ისეთებიც არიან, რომელიც თავის სპეციალურ საკითხავად გაზეთში „დროზბის“ ფოტო გაუხდიათ!

ამ ნაირი მკითხველი — სპეციალისტები ყველანი თავიანთი შეყვარებული განყოფილების გავრცელებასა და გადიდებას თხოულობენ გაზეთში: მოწინავე სტატიების მოყვარე იწერება, რომ ერთობ ბატონა სტატიებს სწერთო, ესა და ეს მოწინავე სტატია კარგია და ესა და ეს კი სულობით არ მომეწონაო; წარვეს თაყვანის-მცემელი თავს იკლავს, თუ რომელსამე ნომერში წარვეს არ არის დაბეჭდილი. ამას წინათ ერთმა წარვეს მკითხველმა კარგა ბლომად სანარვეო ამბები გამოგვიგზავნა, როგორც ეტყობოდა იმისთვის, რომ რადგან რედაქცია ხანდისხან, უადგილობის გა-

მო, წარვეს ვერ ბეჭდავს, თავის დაწერილი ამბების კითხვით მაინც უნდა და ესამოვნებინა თავის თავი. აგრეთვე უცხო ქვეყნების მკითხველები გვწერენ, რომ ეს განყოფილება ჯეროვანათ ვერ მიგყავთ გაზეთშიო, ესა და ეს ამბავი ვერ გავიგეთ და შემდეგ ნომერში მაინც აგვისხენითო; აგრეთვე ვაჭრები ხომ თავიანთი მანდებითა და საიჯარო განცხადებებით მოსვენებას არ ვაძლევენ.

ძახელები გვემდურებიან, რომ თელავში და სიღნაღში არაფერს იწერებითო, ეს „დროზბა“ იმერლების გაზეთი არისო; თუ ორსა და სამს ნომერში იმერეთიდან ან იმერეთზე არაფერი არ არის გაზეთში დაბეჭდილი, იმწამსვე საყვედურს გავიგონებთ, რომ ჩვენ სულ დაგვივიწყესო, „დროზბა“ „გაქართველდაო“ და სხვ. და სხვ.

მოდით და დააკმაყოფილეთ ამდენ ნაირი უანგარიშო მოთხოვნები ერთი მუტა მკითხველებისა!

შველა ასე სჯის: „რეა მანეთს იმიტომ ვაძლევ გაზეთში, რომ რაც მინდა და რაც მესამოვნება, ის წავიკითხო.“

იმას კი აღარ ჰფიქრობს მკითხველი, რომ იქნება იმის სასამოვნო საკითხავი სხვისას არ შეეთვისება, რომ სხვასაც თავის შეყვარებული ნაწილები და ჰაზრები ჰსურს, რომ ნახოს მუდამ გაზეთში.

მაგრამ ყველაზე უფრო ის უნდა მიიღოს ყურადღებაში, რომ რედაქციასაც თავის შეყვარებული განყოფილებანი და ჰაზრები აქვს, რომ რედაქციას უფლება და მოვალეობა აქვს მხოლოდ ის ჰაზრები გაავრცელოს საზოგადოებაში, მხოლოდ იმ

განყოფილებაზე მიაქციოს თავისი მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც იმას აღნიშნულ დროს სასარგებლოთ, მოსწრებულად და გამოსადეგათ მიანიხა.

როდესაც რედაქცია ნომერს ადგენს, როდესაც ის რომელსამე სტატიას ჰბეჭდავს, მაშინ იმას არც თავადი ჰყავს მხედველობაში და არც აზნაური, არც გლეხი და არც ჩინოვნიკი, არც ვაჭარი და არც ოჯახის კაცი, — იმას ჰყავს მხედველობაში, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, საშუალო მკითხველი — ქართველი, რომლისთვისაც, იმას ჰაზრით, მოწინავე სტატიებიც გამოსადეგია, ფელტონიც კარგია, რომელიც წარვესაც წაიკითხავს და საბასოსაც, — ჰყავს სახეში ისეთი საშუალო ქართველი, რომლისთვისაც ყოველი ახალი ჰაზრი, ყოველი ახალი ცნობა იმის სამშობლო საქართველოზე და განათლებულ ხალხების ცხოვრებაზე საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს.

იქნება ხანდისხან რიოაქცია ამ თავის მოვალეობაა, მკითხველების წინ, ჯეროვანათ ვერ ასრულებდეს, იქნება ისე ვერ მიჰყავს ხანდისხან საქმე, როგორც თვით იმასა ჰსურს; მაგრამ, როცა ამგვარ რასამე გავილებთ თავში, გთხოვთ ისიც გაიხსენოთ, რომ უფრო მომეტებულად თვითონ საზოგადოება ვერ ასრულებს თავის მოვალეობას რედაქციისა და საზოგადოთ ლიტერატურის წინაშე, გთხოვთ გაიხსენოთ ახლანდელი ჩვენი ლიტერატურის საშუალება და ღონისძიება, გაიხსენოთ აგრეთვე ის გარემოებანი, რომელშია იმ ამ ყამად იმყოფება.

ფელტონი

ცუდი ზუპანი

მოთხრობა ალფონს ლოჯისა \*)

მჭედელი ლორი ამ საღამოს როგორღაც კარგ გუნებაზე ვერ იყო. ჩვეულებრივად გაათავებდა თუ არა ლორი საღამოს, მზის ჩასვლისას, მუშობასა, როგორც სოფლის რიგია, თავის სამჭედლოს წინ დაჯდებოდა

\*) ეს მოთხრობა, როგორც მკითხველიც მიხვდება, უკანასკნელ საფრანგეთსა და ბერმანის შუა ომის დროებას ეკუთვნის. მოქმედება ალჟასშია.

ზუპანი ერთნაირი ჯარის სახელია საფრანგეთში, რომელსაც თათრული ტანის მონი აცვია და დიდი მხნეობისა და მამობის სახელი აქვს დეარდნილი. ეს ჯარი ალჟირშია დაყენებული.

ცოტა ხანს მოსასვენებლათა, მოისვამდა გვერდით თავის შაგირდებსა და გამეღელ გამომეღელებს უყურებდნენ. ბოლოს თითო სტაქან პიენოს გადაჰკრავდნენ და მერე ალა და შაგირდები გამოემშვიდებოდნენ ერთმანეთს.

მაგრამ ამ საღამოს კი მოხუცებული მჭედელი ვანშობაძინ არ გამოსულა გარეთ თავის სამჭედლოდამა. მანშობაც რაღაც უნებურად დაჯდა.

მოხუცებული ცოლი შესჩერებოდა იმას და ჰფიქრობდა:

— რა დაემართა ჩემ ქმარს დღეს? იქნება ჯარიდამ. ცუდი რამ ამბავი მოუვიდა და მე არ მეუბნება? მაი თუ ჩემი შვილი ავით არის!..

ჰფიქრობდა კი, მაგრამ ხმის ამოღებას და კითხვას ვერ ბედავდა. ბო-

ლოს ლორიმ გაჯავრებით ჰკრა ხელი თეფშს და შეეცრად წამოიძახა:

— საძაგლები! ბაიყუშები!

— მიხედ ამბობ მაგას, ლორი!

— მიხედ ვამბობ? აი, იმ ქვეყნის შემარცხვენელ ხუთ თუ ექვს ფრანგულს სალდათებზე, რომელთაც პრუსიის სალდათებისთვის მკლავი მკლავში გაუყრიათ და მთელი დღე ისე დაიარებიან ერთად ქალაქში? იმათზე ვამბობ კიდევ, რომელთაც ფრანგულზობა მიატოვეს და პრუსიის ნაციონალიზმა აირჩიეს!.. სირცხვილი! სირცხვილი!

სოღმა იმათი დაცვა მოინდომა:

— რა ჰქნან? არც იმათი ბრალია. ხო იცი, რა შორს არის აფრიკის ალჟირია: იქ წასვლას, რასაკვირველია, აქ დარჩენა ურჩევნიათ. ამას გარდა სალდათად ყოფნას, მინ ჯდომას არ ურჩევია!..

ლორი გაგულისდა; გაჯავრებით დაჰკრა ხელი სტოლზე და დაიყვირა:

— ბაიყუშები დედა-კაცო! თქვენ, დედა-კაცებს ამ საქმეებში სულობით არა გესმისთ რა! მოლოდ შეილები არ მოიშორეთ და თქვენთვის თუნდა ქვა-ქვავზედაც ნულარ ყოფილა! მე შენ გეუბნები, რომ ეს ხალხი, რომელიც აქ დასეირნობს ახლა, როდესაც სამშობლო გაჭირებაშია, რომელიც უარ-ჰყოფს თავის ქვეყანას, გეუბნები, რომ ეს ხალხი მოლაღატე, საძაგელი, გამცემი და მხთალი ხალხია, და რომ, ჩვენდა სასიკცხოთ, ჩვენმა ვაჟმა ჰაზრით ამისთანა საქმე ჩაიდინოს, ღმერთი გაუწყრეს და შინ დაბრუნდეს, ჩემ მარჯვენას გეფიცები, იმწამსვე აი, იმ ხრამალს ავიღებ და შუაზე გავჩენ!



მაშინ უეჭველია, ისეთი სასტიკნი და მომხობენილნი აღარ იქნებიან...  
ს. მესხი

„დ რ ო უ ბ ა“ კ ო რ რ ა მ ს კ ო ნ დ ე მ ს ი ა  
შუთაისი, მარტის 16-ს

თეატრის საქმეში შუთაისში იმ წრე-  
მდინ მიიწია, რომ შეუძლებელი საქ-  
მეა ტრუპა არ შესდგეს, შეუძლებ-  
ელი საქმეა დეკორაციები არ გაიწ-  
ყოს რიგინი და არ დაიწყოს ეს  
წესიერი და მეტად სასარგებლო სა-  
ქმე. აქტიორები მზათ არიან, პიესებს  
დღის-დღეობით სთარგმნიან და ბევ-  
რიც გადმოთარგმნილია, სხვათა შო-  
რის: „Доходное мѣсто, Трудовой  
хлѣбъ“ კიდევაც წარმოადგინეს.

მრთი სიტყვით რეპერტუარზედ  
საქმე არ გაჩერდება, არც აქტიორე-  
ბზედ, ოღონდ მოთვე იყოს ვინმე, კე-  
თილ-განზრახვის კაცი! მისურვებ  
რომ ამ საქმეს კარგი წარმატება მი-  
ეცეს. ღარწმუნოს გული ახალგაზ-  
დობამ, რომ ამდროში არა რა ლი-  
ტერატურას, არა რა შკოლას არ  
ექმნება ისრეთიზნობითი ზედმოქ-  
მედება საზოგადოებაზედ როგორც  
თეატრს; მაშ დღევანდელი ახალ-  
გაზდობის შრომა და ღვაწლი თე-  
ატრის დაფუძნებით უნდა აღინიშნოს.  
მერწმუნეთ დრო არის უფრო პრაქ-  
ტიკულათ შეხედოთ ცხოვრების მს-  
ვლელობას და ისრე უნაყოფოთ არ  
წარვიდენ დრონი, რომ მომავალმა  
წყევლა-კრულვით ჰაზრი წარმო-  
თქვას.

სასიამოვნო ამბავი; ჩვენ დასაბედ-  
ლოთ გამოჩნდნენ ისრეთი კეთი-  
ლი განზრახვის კაცები, რომელთაც  
სურთ რუსულ თეატრის შკოლაში  
სწავლა მიიღონ, მისთვის რომ ჩვენ  
სცენას გამოადგენ; ეს მეტად საქმე  
და კეთილი განზრახვაა, მაგრამ არ  
შემიძლიან არ დაუმატოთ ერთი პა-  
ტივეციმული და კარგი აქტიორის  
რუსის სიტყვები.

ამ აქტიორს მაღალი სასწავლებ-  
ელიც გამოუვლია და თეატრის შკო-  
ლაშიაც უსწავლია და ოთხი წე-  
ლიწადიც იქნება რაც რუსულ სცენას

ემსახურება, მაშასადამე მაგისი სიტ-  
ყვები სარწმუნო უნდა იყოს.

ამ ყმწვილმა მითხრა, რომ აქ-  
ტიორობა ისრეთი თვისებაა კაცში,  
რომელსაც ვერც სწავლა მისცემს,  
ვერც პრაქტიკა, ვერც ცხოვრებაო,  
აქტიორის ნიჭი, და პოეტის ფანტა-  
ზია ერთნაირათვე კაცის ბუნების  
ნიჭიერებას ეკუთვნისო. სწავლა, გა-  
ნათლება, ცხოვრება, გამოცდილება  
სარწმუნოა, რომ აფარჯიშებს, წვრთის  
ბუნებით ნიჭ და არა აკეთებს აქ-  
ტიორს აქტიორათა; ცხოვრების შე-  
სწავლა, დაკვირვება უფრო ათავი-  
სუფლებს ბუნებით ნიჭს და გამოაყვს  
ვიწრო სფეროდან ფართო მაედანზე  
და მიაკცევენებს ყურადღებას უფრო  
საზოგადოებრივს ცხოვრების მსგლე-  
ლობაზედო.

შოველი აქტიორი ვალდებულია  
მრავალ-გვარი სწავლა მიიღოს, მაგ-  
რამ სწავლა კი ვალდებული არ არის  
უნებო კაცი ნიჭიერ აქტიორათ გა-  
მოიყვანასო. მაშასადამე ისრე ელე-  
მენტარული, დაუწყობელი და უგვა-  
რო სასწავლებელი, როგორც რუ-  
სეთის თეატრული სასწავლებლებიაო  
მსურველს ვერაფერს ვერ მისცემსო.  
მისაც ნიჭი აქვს და სურვილი გონება  
გაჩხნას წიგნების კითხვით, დაკვირ-  
ვებით და ხერიანი მიმართულების  
გახდეს, ეს უფრო საუზჯობესოა,  
ამასთანავე თვით პრაქტიკა სცენაზედ  
ამზადებს უფრო, ვიდრე თეატრუ-  
ლი შკოლაო. ამასთანავე ბევრი  
მაგალითებიც წარმომიდგინა, რო-  
მელიც მართლა, რომ საყურადღე-  
ბო იყვნენ.

აბა, ჩვენო შუთაისო! შენ მაინც  
გაგიძეხ მომავალ ნათელ დღეები-  
სკენ და დაგვიზადე ის კეთილი  
ცხოვრების მავლელობა, რომელიც  
ჩვენთვის ასე სასურველია!

N  
შორაპანი, 12 მარტი.  
ზემო-იმერეთის ღვინო

ღვინის მოუსვლელობისაგან შო-  
რაპანის მაზრა, ამ ოცდა ორი წლის  
განმავლობაში ისრე არ ყოფილა  
დასჯილი და შეწუხებული, როგორც  
ქვემო იმერეთი, ოღიში და ბურია  
შორაპანში ღვინო ყოველს სოფელ-

ში. თუ მომეტებული არა, საკმაოდ  
მაინც ყოველს წელს მოდიოდა ვი-  
საც კი ჰქონდა მამული.

შურძენმა ხდენა და ღვინის მო-  
საგალმა თან და თან კლებდა დაიწყო  
1853 წლიდან. ამ დრომდის შორაპ-  
ანის მაზრაში საქმე ღვინო არსად  
ყოფილა გამოჩენილი. საჩხერეში  
იყო ნაქები თ. მიხეილ წერეთლის,  
ბაზალეთში და ღარსხევში სოლიკა-  
ურის თეთრი ღვინო.

იმ დრომდის ხალხს ღვინის კეთ-  
ებაზე არ ქონია რიგინი ყურადღე-  
ბა მიქცეული, რადგან ყველას თა-  
ვიანთი საყოფი მოსდიოდათ და ფასი  
ასრე არ ჰქონია, როგორც ამ ყურ-  
ძნის წახდენის შემდეგ დაედვა.

ღვინის ფასი 1853 წლამდის გარ-  
და ზემოთქმულის ღვინოებისა, არ-  
სად არ აიწვედა ჩაფი ოციდამ ორ-  
მოც კაპეიკს ზევით და რომ ვისმეს  
მეტათ გაეყიდა, ახალ ამბათ შეიქნე-  
ბოდა ხალხში. ჩაფი წონით შეი-  
ცავს ორს ბათმანს ანუ ერთს ფუთს.

1853 წლიდან ღვინოს ფასი დაეწ-  
ვა, ჩაფი მანეთამდინ ავიდა, იქიდან  
დაპოკიდებული სულ იმათა ფასმა,  
ასრე რომ 1872 წლამდის კარგმა  
ღვინომ ოთხ მანეთამდინ მიიწია.

როდესაც ასე დაედვა ფასი ღვი-  
ნოს, ყოველმა კაცმა მიჰყო ხელი  
მამულის კეთებას, ყოველს წელიწადს  
უმატეს ვენახს ვაზებო, გააშენეს  
სხე და სხვა გვარი ვენახი. თუმცა  
კი აქაც ხდებოდა ყურძენი, მაგრამ,  
რადგან ბევრი გაშენდა მამულები  
ნაცარმა დიდი გაუღენ ველარიქონია.

ქვემო-იმერეთმა, ოღიში და ბუ-  
რიამ, როგორც გაუჩნდა ყურძენს  
ნაცარი და იკლო მოსაგალმა, იქი-  
დანვე დაანებეს თავი ვენახების მუ-  
შობას, ბევრმა კიდევ აჩეხა და ჭურ-  
მარანი სრულებით მოიძულეს; შო-  
რაპანელებსაც, რომ მათთვის წაეხე-  
დათ, მაშინ ღვინო უმეტეს — ძვირი  
იქნებოდა ვინმდის ეხლა. შარშან  
რომ შეხედეს ღვინის მოსაგალს, წელს  
ყოველი კაცი მიარბენინებს ვენახის  
ვაზებს და ისევ აპირებენ ვენახის გა-  
შენებას.

შორაპანში ღვინის იაფობის დროს  
კარგი მამულის მუშა, ანუ კარგი

ღვინის გამკეთებელი ძვირად იყო,  
რაც ვენახი გაუშენებია მაშასადამე  
ლიც იმას აღარ უხმებდა.

შორაპანელები ამ ღვინის გაძვირე-  
ბამ ძლიერ გაახალისა, ბევრ სოფელ-  
ში დაიწყეს კარგი ღვინის კეთება,  
მაგრამ ყოველ სოფელზე უზჯობესი  
გამოდვა ძვალთის და სვირის ღვი-  
ნოები. ეს ორი სოფლები მდებარე-  
ობით და მიწის პოხიერებით ემსგაე-  
სებინ ერთი მეორეს და თან მობმუ-  
ლიც არიან ერთმანეთზე. პირველი  
ეკუთვნის შორაპანის მაზრას და მეო-  
რე შუთაისისას. ამ სოფლებში ეხლა  
საქმე ღვინოები მოდის. ამ სოფლე-  
ბის ღვინოები რომ ისე გაკეთდეს,  
როგორც აკეთებენ შეძლებული ხალ-  
ხი სხვა ქვეყნებში, მაშინ საზღვარ  
გარეთელ ღვინოებს კიდევ აჯობებს  
თორემ ნაკლები მაინც აღარ იქნება;  
ეს უბრალოთ მოკრეფილი და დამზა-  
დებული ღვინო სიმაგრიტ და სიკე-  
თით მაინც მოსაწონია. წასაღებათაც  
გზაზე ერთი ორათ ჭურჭელში მა-  
ტულობს სიკეთეს.

ეს ორი სოფელი თუმცა ადგილზე  
ვიწროთ არიან, მაგრამ მათი ღვი-  
ნოები ყოველთვის წინ მიდის და უფ-  
რო ძვირად იყიდებოდა, ამისთვის ამ  
სოფლებებმა თითქმის ყველა თა-  
ვიანთი სახნაფი მიწები მამულებათ  
აქციეს.

მა ორი წელია ღვინის ფასმა შე-  
სანიშნავათ იკლო, ოთხ მანეთიანი  
ღვინო შარშან ძლიერს იყიდებოდა  
ორ მანეთათ და წელს ერთი მანე-  
თად რვა აბაზს არ ასცილებია. მსეც  
ათი ჩაფი ფასათ უნდა მისცეს ღვი-  
ნის პატრონმა მყიდველს და ერთი  
უფასოთ, მეთერთმეტე ჩაფს სასხამს  
ეძახიან, მაგრამ მსყიდველიც არაფერს  
არის. მინც კი მოვა სოფელში ღვი-  
ნის ვაჭარი დაესვენან ღვინოს მვატ-  
რონეები და ევედრებიან არა ჩემი  
ღვინო მიირთვი და არა ჩემიო; ამ  
სოფლებში ღვინოები შარშანაც  
დარჩა და როგორც ეტყობა წელ-  
საც ბევრი დარჩება გაუყიდელი.

ამ იაფობით უნდა სარგებლობ-  
დეს ყველანი და არა რომელიმე პი-  
რები, მაგრამ სამწუხაროთ ამ ღვინის  
იაფობით სარგებლობენ მხოლოდ

თ-თქო გაბრაზდა ლორიო, წა-  
მოიწია ზეზე, მიაშვირა თითი კე-  
დელზე დაკიდებულს ჰანრის პორ-  
ტრეტს და მოელვარე თვალებით  
დიუწყო ყურება. მაგრამ რამდენსაც  
შესცქეროდა ამ თავის ვაჟის სურათს,  
იმდენა თან და თან დაუმშვიდდა  
სახე, ბოლოს სულ დაწყნარდა და  
მხიარულად სთქვა:

— რა დამემართა მე დღეს! რა  
ცუდი აზრები მომდის თავში! როგორ  
ვიფიქრე, რომ ჩემმა ჰანრიმ, რომ-  
მელმაც ამდენი მტერი დამარცხა  
ომში, პრუსიის ქვეშევრდობობა მიი-  
ღოს?

ამ მოსაზრებამ მოხუცებული მქე-  
დელი სრულებით კაი გუნებაზე დაა-  
ყენა, გაათავა ვახშამი და ცოტა  
ხანს შემდეგ სასტუმროში წავიდა

თავის ტოლ-ამხანაგებთან სამასლა-  
თოდ და ლუდის გადასაკრავად.

მოხუცებული დედა-კაცი მართო  
დარჩა შინ. დაძინა თავის პატარა  
სამი შვილი; მერე ხელსაქმე მოს-  
ძებნა, გამოვიდა გარეთ, დაჯდა კა-  
რების წინ ბაღთან და თან მუშაობა  
და თან ფიქრი დაიწყო.

— „ღიახ, იქნება მართალია, რომ  
ეს მუხთლობა, ქვეყნის დალატი იყოს;  
მაგრამ რაც გერჩიოს სთქვით: დედის-  
თვის თავის ვაჟის დანახვა ყოველთვის  
სანატრელია.“ მოაგონდა ის დრო,  
როდესაც იმის ჰანრი, სანამ ლაშ-  
ქარში წავიდოდა, აი აქ, ამ პატარა  
ბაღში იღვა მთელი დღე და მუშაობ-  
და. შესცქერის ჭა, რომლიდანაც  
იმის ჰანრი ასე ხშირად ამოქონ-  
და წყალი, რომ ბაღის ყვავილები

მოერწყო. მაშინ იმას ბლუზა ეცვა,  
გრძელი თმა ჰქონდა, რომელიც,  
საღდათად (ზუჯათ) წაიყვანეს თუ  
არა, იმ წამსვე მოსჭრეს...

შუეცრად შეკრთა. მიღამაც გაა-  
ლო პატარა ეზოს კარები. ძალღებმა  
ხმა არ ამოიღეს; აი, ვიდაც ნელ-  
ნელა, ქურდსაფით მოიპარება.

— დედას გაუმარჯოს!  
ჰანრი დედის წინა დგას, თავის  
მუნდირში, როგორღაც აფხორილი,  
შერცხენილი, ენა ჩაფარდნილი. რამ-  
დენიმე საათია, რაც ის დაბრუნე-  
ბულა ჯარიდან; მაგრამ შინ მოს-  
ვლა ვერ გაუბედნია: თან ეშინოდა  
მაშისა, თანაც რცხენოდა. სახლს  
უტრიალებდა, და როდესაც ნახა,  
რომ მამა სასტუმროში წავიდა, მხო-  
ლოთ მაშინ გაბედა შინ შესვლა.

დედას უნდა, შვილს გაუწყრეს;  
მაგრამ მომეტებულის სიხარულისა-  
გან ვერ ახერხებს. რამდენი ხანია  
იმისთვის არ უკოცნია! ამას გარდა  
შვილს ასეთი კარგი საბუთები მოჰ-  
ყავს თავის გასამართლებელად: ის ამ-  
ბობს, რომ ჩემი მშობლებისა და  
ქვეყნის ნახვა მომინდაო, სამქედლო  
მომენატრაო, ჯარში სასტიკად გევა-  
ყრობიანო, ამხანაგები მაჯაერებდნენ,  
„პრუსიელს“ მეძახდნენო და სხე-  
და სხე.

დედა ყველაფერს უჯერებს თავის  
საყვარელს შვილსა. ოჯახში შევიდ-  
ნენ, ყმწვილებმა გამოიღვიძეს და  
მოსცივიდნენ თავის უფროსი ძმის  
სანახავად. მოხუცებულ დედას თავის  
თავი ბედნიერად მიაჩნია. მაგრამ  
ხანდახან ქპრის სიტყვები მოაგონ-  
დება...  
(დასასრული შემდეგში).



ღენის ვაჭრები და არა სხვა; ვინც ბოთლობით ღენის ყიდულობს, იმათ კიდევ არ უგზავნიათ ღენის იაფობა, ისინი კიდევ იმ ფასათ ყიდულობენ, როგორც ყიდულობდნენ ძვირობის დროს.

ბოთლი ღენი იყიდება რკინის გზას გუთუნებში ორმოც კაპიკათ, ქალაქის სასტუმრო სახლებში რააკვირეულია მომეტებულ ფასათ და უბრალო ღუქებში დაბალი ღენი ოც კაპიკათ.

ის ბოთლი, რომლითაც ღენის ჰყიდიან ჩაფი გამოვა თუ მეტი არა, ოცი მაინც; რომელი ღენი ოც აბაზათ იყიდება ბოთლი, ის ღენი ჩაფი უთუოდ ეხლანდელის მახანდისა მებრ მანეთზე ნაკლებათ იქნება ნაყადი და მანეთის საქონელში ოც მანეთს კი ღებულობს; რაც ღენი იყიდება გუთუნებში, ანუ ქალაქის სასტუმრო სახლებში ის ჩაფი ჯერეთ რვა აბაზს არ აცილებია, რვა აბაზს საქონელში, რვა მანეთიდან, თორმეტ მანეთამდის იღებენ.

ამნაირად ვინც ამ ღენის მოწვევზე თავისი ძალი და ღონე ოფლიათ აქცია და ყოველი სახაზინო, შინ უარი, ანუ კერძო ხარჯი ამისი ნათესურისაგან უნდა დაკმაყოფილოს, იმას კი არ გაუდის ღირებულათ, და იგებს მხოლოდ ის, ვინც ღენის მოყვანისათვის სრულებით არ უშრომნი.

ჩემის აზრით, ეს გარემოება იმის ღირსია, რომ ყურადღება მივაქციოთ.

ს. ლევა  
სოფ. ქალთი

პრთი კვირაა, რაც რუსეთის ფოხტა ქვეყანის მთებს არ გადმოსცილებია და ქალაქში არ მოსულა. ამის გამო მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ რუსეთისა და უცხო ქვეყნის განყოფილებებში მაინცა და მაინც ახალ ამბებს ვერ ნახავს.

### რუსეთი

ქ იარანის უეზდის ერობის შიატსკის გუბერნიის ერობისათვის უთხოვნია, მთავრობასთან გეშუამდგომლეთო, რომ კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც ჩვენი უეზდის მამულის პატრონები ვალდებული გახდნენ, რომ სეტყვისაგან მიცემული ზიანი ყოველთვის ერთმანეთს უზღონ. შიატსკის გუბერნიის ერობას გადაუწყვეტა, ამ საგნის თაობაზე ჯერ სხვა უეზდის ერობებსაც ვკითხვათ და მერე თუ სხვანიც დათანხმდებიან, ვიშუამდგომლებთო.

ქ ამავე გუბერნიის მეორე უეზდის (ნოლინის) ერობას სახალხო განათლებისა და ხალხში სხვა და სხვა სახელოსნო უკოლების გასაერცვლებლად წელს 28,000 მანეთი გადაუღვია თავის შემოსავლიდან.

ქ რიგის გაზეთში იწერებიან, რომ ლიჭლიანდის სახანაურო კონვერტი თებერვლის 24-ს გაუხსნიათ რიგაში.

ქ ქალაქს ქაშინში გაიდაიცვლა ამას წინათ ერთი მდიდარი ვაჭრის ცოლი მონჩაკოვისა, რომელსაც ასოცდა-ათი ათასი მანეთი დაუტოვებია სხვა და სხვა კეთილი საქმეებისათვის. ამ ფულებიდან ანდერძის ძალით, 50,000 მან. ამ ქალაქის ღარიბი ვაჭრების ოჯახებს ერგებათ; 50,000 ისეთი სახლის ასაშენებლად, რომელშიაც ამ ქალაქისავე დავარდნილი და შეუძლო ხალხი იცხოვრებს და დანარჩენი 30,000 მანეთის სარგებლიდან ხუთმეტ ღარიბ ქალს უნდა მისცენ მზითვეი.

ქ პეტერბურღის გიმნაზიების ზოგიერთ მასწავლებელთ ისეთი კლუბის გახსნა განუზრახავთ, სადაც მართო სხვა და სხვა სასწავლებლების მასწავლებელნი იქნებიან წევრებათ.

### უსხო ქვეყნები

საზრანბათი. ჩვენ მოვიყვანეთ სია ახალი სამინისტროსი, რომელსაც მომეტებული ნაწილი ორღენელები და საზოგადოთ მარჯვენა მხრის წარმომადგენლები შეადგენენ; მარცხენა მხრიდან (ისიც ძალიან საექტონი) არის მხოლოდ ორი მინისტრი: ლეონ სე—ფინანსის მინისტრი და დპუჭორი—იუსტიციისა.

თებერვლის 28-ს ამ ახალი სამინისტროს მოთავეს ბპიუჭეს, როგორც უკანასკნელ გაზეთებში გამოცხადებულია, თავის პროგრამა წაუკითხავს, რომელიც ძალიან კონსერვატორულია. ის აცხადებს, სხვათა შორის, რომ სამინისტრო და მთავრობა ეცდება ყოველი აღილებისა და უწყსოებისაგან დაიცვას ხალხი, რომ სამხედრო მდგომარეობა იმ დებარტამენტებში, რომლებშიც ახლა არის, ბექდვის ახალი კანონების მიღებამდინ, არ მოისპობაო და კანონიც მერების ამორჩევის თაობაზე დრომდი არ შეიცვლებოა. ახალი სამინისტრო თავის პროგრამაში ყველა ზომიერ პარტიებს სთხოვს, დაეხმარონ იმას იმ ძნელი ტვირთის შესრულებაში, რომელიც მმართველობას აწევს ახლაო. მარჯვენა მხარე მერსალის ნაციონალური პრეზისა ძალიან კმაყოფილი დარჩენილა ამ პროგრამით, და თუმცა მარცხენა მხარეს მაინცა და მაინც არ მოსწონებია, მაგრამ, როგორც ისმის, არც ის ეცდება ამ სამინისტროს გადაყენებას, თუ კი ბონპარტიტების დატუქსისა და იმათი შეტქმულობითი პლანების მოსპობის სურვილს გამოიჩენსო.

ინგლისი. ლინდონის გაზეთებს ისევე სამხრეთ უელსის მუშების მდგომარეობა აწუხებს. ამას წინათ ლონდონში ხმა გაეარდნილა, რომ მუშები და ფაბრიკანტები მორიგებას აპირებენო, ერთმანეთში მოთავსდნენო; მაგრამ ეს ამბავი ახლა ტყუილი გამოდგა. წინააღმდეგ ამისა იწერებიან, რომ უელსის ქვა-ნახშირის ქარხნებზე და სხვა ფაბრიკებზე მუშების უკმაყოფილებამ უკიდურეს

მდგომარეობამდი მიადწიაო, რადგან რაც რომ არ მუშაობენ, მას აქეთ ისინი ძალიან გაჭირებულნი არიან და გაბრაზებულნი თავიანთ პატრონებზედაო. მართალია, სხვა ფაბრიკების მუშები ხელს უწყობენ და ეხმარებიანო, მაგრამ, საუბედუროთ, იმდონი შეძლება არც იმათა აქეთ, რომ რამდენიმე ათი და ასი ათასი კაცი ორი და სამი თვის განმავლობაში არჩინონო. საზოგადოთ ამბობენ, რომ თუ ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, როგორც იქნება, არ მორიგდენ მუშები და იმათი აღები, სამხრეთ უელსში, უეჭველია, არეულობა მოხდება და სისხლი დაიღვრებაო.

შსპანიი. ამერიკის ერთს გაზეთში მადრიდიდან გაგზავნილი დეპეშა დაბეჭდილი, რომელშიაც სწერენ, რომ ახალი კოროლი ღონ-ალჭონის ისეთ ნაირად დეცა, ისეთს სასოწარკვეთილებაში ჩაყარდა, რომ შსპანიის ტახტიდან ხელი უნდა აიღოსო და განზრახვა აქვსო, რომ ეს ტახტი თავის ბიძას გერცოგ მონანსიეს დაუთმოსო.

ბერლინი. ბერლინიდან იწერებიან, რომ იმპერატორი მილჰელმი შეუძლოთ არისო.

### ქრონიკა

სტატია VII  
თეშურ-ლენგი საინგილოში და გიორთა-გიორგა ოსდა ათ ვაჟ. კაცთა თავად-აზნაურებისა

აი ამ მამაც ქართველ ხალხს 1380 წელს დეცა ლენგ-თემური. 1392 წელს იმას 12000 კაცი ქართველებმა მოუკლეს და მერმე 1393 წელს მოვიდა შიდა მართლში, ააოხრა ყველაფერი, გაბრუნდა და მივიდა საინგილოში. როგორც ეტყობა, 1392 წელს, როცა თემური ნუხში სცხოვრებდა და ბაგრატმა ის მოატყუა და ამოუწყვიტა 12000 ათასი რჩეული ჯარი, იმას დიდი ზიანი მისცეს ინგილოებმა. ამას მე ვამბობ იმისთვის, რომ ლენგ-თემურს ისრეთი ხასიათი ჰქონდა, რომ თუ იმას ვინმე უმტრობდა, იმას მაგიერის გადაუხდელად არ დასტოვებდა. ის ერთი მიზეზი. მეორე მიზეზი ის იყო, რომ ამდროს იმასთან მოვიდნენ ქართველების მოსაზღვრე მოსლემები და უთხრეს, რომ ან გადავასახლე სხვაგანო, და ან არა და მოსაზღვრე ქართველები, თქვენ რომ წახელოთ, შეუძლებელიაო, რომ თავ-ბედი არ გვაწყველინონო: რაც ეხლა თქვენ იმათ უბედურება შეამთხვიეთ, ყველა იმის ჯავრს ისინი ჩვენზე იყრიანო. (იხ. 466 გვერ).

აი ამ მიზეზისა გამო 1395 წელს ის შევიდა საინგილოში და დაიწყოთ თავისი მძლავრობა. იმან რამდენჯერმე ჰიაურიდგან მოკიდებული გაიარა მთელი საინგილო და ნუხის მაზრის მთის კერძო ადგილები სირგმე-სიგანეზე, და გამოიარა, და რაც რამე შენობა შეჭხვდა, ყველა ააოხრა და

უმკვიდრო ჰყო. მე ვფიქრობ, რომ ამ დროს არიან დაქულები ყველა ის ეკლესიები და საფლავები, რაც ეხლა უადგილო ადგილას იმათი ყოფნის ნიშნები იპოვებიან. მართლაც ინგილოების ზვირ-გადმონაცემი ამბობს, რომ ამდროს გაუქმდა მთის ხალხებში ქრისტიანობაცაო. ამასვე ამტკიცებენ წახურის ლეკებიცა. ინგილოები აგრეთვე ამბობენ, რომ ლენგ-თემურმა ზაქათალის მაზრის ქართველები დაიჭირა, დაზოცა და მათის თავებით ყორე ააშენაო. ამ ყორეს ეხლა უჩვენებენ ზაქათალის ქვემოთ ალაზნისკენ, სადაც მართლად დიდალი მცხოვრებლები სახლებულან, როგორც ამტკიცებს სოფლების და ეკლესიების ნაშთი; მაგრამ კაცების თავების მაგიერ იქ, ერთი ქართული სახლის სიმალეზე, ქვა ჰყრია. ხალხი ამბობს, რომ რამდენიც ამ ყორეში ქვა არის, იმდენი კაცის თავი მოუჭრია ლენგ-თემურსაო.

რომ ამდროს ამოსწყდა ზაქათალის მაზრაში და მთებში ქრისტიანობა, ამას ამტკიცებს თავის ისტორიაში აგრეთვე თემურაზ ბატონი-შვილიცა. მაგრამ ყველაზე ნამდვილი და ჭეშმარიტი ის არის, რომ გამუსულმანებული წახურის ხეობის ლეკები ამბობენ, რომ ჩვენში და სხვაგან მთებში ქრისტიანობა ლენგ-თემურმა ამოსწყვიტაო. აგრეთვე ნამდვილია ისიც, რომ იმან აქ დახოცილი კაცების თავებით ყორე ააშენა, ჯერ-მისთვის, რომ ამ ყორეს გარეშე ბევრი ძელები ჰყრია, მერმე ამისთვის, რომ იმას, როგორც მოწმობს მსოფლიო ისტორია, მართლაც ისრეთი ჩეულოება და ხასიათი ჰქონია, რომ კაცის თავებით ყორეს აგებდა.

ორიადღეთის აღმოსავლეთის მხარეს შემოიჯანყედ მდებარებს ალგეთის ხეობა. აქ ალგეთის მდინარის მახლობლივ არის აშენებული სამი ციხე. პრთი არის აშენებული იქ, საცა ზრობითის ხევი ერთვის ალგეთის მდინარეს, მეორე ამას ზეით, აღმოსავლეთში, ტბის უკან. პირველ ციხეს ხახელად ჰქვიან შარცხისის ციხე, მეორეს ბირთვისის ციხე. ის ციხეები მტრის დაცემის დროს ერთმანეთსა ჰმველოდნენ. მახუშტი თავის ლეოლრაფიაში ამბობს, რომ შარცხისის ციხე ბირთვისის ციხის ფარი იყოო. ის ბირთვისის ციხე ამავე ლეოლრაფის სიტყვით (გვ. 172) არის აშენებული კლდეზე და ერთ ეჯ-ნახევარზე (9 ვერსი) გარემო კლდით არის შემოზღუდულიო. ამისა გამო ეს ციხე მტრისათვის შეუვალი იყო და შიგ უდიოდა წყაროებიცა.

1393 წელს თემურ-ლენგი რომ შემოვიდა საქართველოში და დაუწყო აოხრება, მაშინ ამ ბირთვისის ციხის თავადმა სახელად ნახალმა შეაგროვა შიგ დიდ-ძალი სურსათი, გაამაგრა ციხე, შეიყვანა შიგ ოცდაათი რჩეული თავადი-შვილი თავისის ცოლ-შვილით და სხვანი მრავალნი

აზნაურნი და ლომივით ამაყად დაუდგა წინ გაშმაგებულს ტემურ-ლენგს. ამ მაჰულის მოყვარე წარჩინებულებმა გადაწყვიტეს, რომ ტემურ-ლენგი ან დავაშარცხოთ, ან არა და ყველანი აქ დავინოცნეთო მამულის თავისუფლებისათვისა.

ქვეყნურ ლენგ-ტემური მიადგა ამ ციხეს, მაგრამ ციხის თავადი ნაზალი ისრეთი ვაჟკაცი იყო, ისრეთი გამორჩეული მხნე, შემმართველი და გულგონი ვაჟკაცი თავად-აზნაურობა და გლახობა ჰყვანდა, რომ უშიშრად თავ-გადადებულნი ცხენებით გამოუცვიოდნენ ციხიდან, გაუქროლ-გაპოუქროლებდნენ მტრებს და იმათს მიჯრს მიჯრზე შენარცხებდნენ, ჩაუსვამდნენ ვაკანდირებულს მტერს გულ-მკერდში ხმალოსა და ხარის ხანჯალს და როგორც რომ მიმინო ჩიტებს დაწოკებს ხოლმე, ისრე მიმოაბნებდნენ ტემურის ჯარს და ისევე სიცილ-ხუმრობით, კისკასით და ხმლისა და ხანჯლის ფრიალით აცვიოდნენ ციხეში. მტერი რომ ევლარას განდებოდა, კბილების კრეჭით უკან ბრუნდებოდა; მაგრამ ნაზალი თავის წარჩინებულ ქართველებით მტერზე ხელს არ იღებდა, გაედევნებოდა ხოლმე უკან და რაც რამე სურსათი ჰქონდა, ყველას ართმევდა და შეჰქონდა ციხეში თავის საგძლად. ლენგ-ტემურს გული უკედებოდა და ყელი ეხერხებოდა, რომ ეს ციხე აუღლებელი რჩებოდა.

ამისათვის 1403 წელს მეშვიდედ შემოვიდა შიდა ქართლში, მაგრამ რომ ნახა ხალხი გახიზნულიყო მთის სიმაგრეებში, წაიდა ზემო ქართლში და კიდევ მოინდომა ბირთვისის ციხის აღება. ამ ციხეში მყოფ მაჰაცი ქართველებისაგან შეშინებულმა ტემურის ჯარებმა უარი უთხრეს იმის აღებაზე; აქ ისინი მრავალჯერ იყენენ დამარცხებულნი, მრავალი ჭირი და ვაი ვაგლახი ენახათ ციხეში მყოფ ქართველების ფიცხელი ომისაგან; იმის სასალარები ვუბნებოდნენ, რომ ციხეში შეხიზნული ქართველები ისრე თავზე-ხელ-აღებულნი და გამხეცებულნი არიანო, რომ მათთან ომი შეუძლებელიაო.

მს რომ შეიტყო ტემურმა, ძალი-

ან შეწუხდა და მაშინვე უზენაესი სამხედრო თათბირი მოახდინა და ასრე უთხრა ჯარს: „არა — სადა დაშობილ არს სიმაგრენი და ციხენი, რომელი არა აგველოს, და იგიცა ადვილ არს თქვენ მიერ“.

ამის შემდეგ ჯარი გამხნედა და ტემური 150,000 კაცით მეშვიდედ მიადგა ბირთვისის ციხეს. აქ იმან თავისი ჯარი ორად გაყო. მრთი ნაწილი ციხეს მიუსია, მეორე სხვა ადგილას ჩაუსაფრა იმ განზრახვით, რომ როცა ქართველები იმას დაამარცხებდნენ და გამოქცეულს უკან მიჰყვებოდნენ, მაშინ ჩასაფრებული ჯარი უნდა გამოსულიყო და გაქცეულ ჯარსა და ამას შუაში უნდა მოემწყვდიათ ქართველები და დავხოცნათ; მაგრამ ციხიდან გამოვიდნენ ნარჩევი ვაჟკაცი ჰაბუკი ქართველები, შეუბოგრად და ფიცხლად შეცვიოდნენ მტრის შუა გულში და დაუწყეს მტერს ხანჯლებით ცხერის ფეხბოხავეით შუაზე გაბოზა. „ქართ. სხო. ერება“ 470 გვერ. ჰვერ მეტყველურად ამბობს: გამოვიდეს ციხოსანიცა — იგი, ქართველნი ჰაბუკნი რჩულნი, მიეტყვენს და განეცენს შიგან, ვითარცა მახვილი ლესული, ორ-პირად მკვეთელი მძოვრისა რისამე; და მრავალნი სულნი მოსრნეს პირითა მახვილითა და დაჰქაფენს ხარბად სისხლნი, ვითარცა ღერნი პურად აღძრულნი ფიცხელთა წვიმითა მიერ. ტემურის ჯარმა რომ ნახა ლომის მსგავსად განძინებული მემომარი ქართველები მყისვე უკან გაიქცნა; გმირნი ქართველნი ისრე ფიცხლად მისდევდნენ მტერს და ჰხოცდნენ, რომ უკან ჩასაფრებულმა შეშინებულმა ჯარმაც თავი ვეღარ დაიკავა და ორკერძო გაწყობილი ჯარები ერთმანერთს შეენარცხნენ. ამ გვარის თავ-განწირულებით ქართველებმა გაღწევს ტემურის ბანაკი და შემობრუნდნენ ციხეში დიდის საშოვრით. მაგრამ ამით ომი არ გათავდა. ბანძინებულმა ტემურმა აღუშენა ბირთვისის ციხის გარშემო ოთხ-კუთხიე საფრად ციხეები, შეაყენა შიგ ჯარები, თვითონ მიადგა წინადა და სხვა ჯარებსაც უბრძანა ფიცხლად შეებმა. შეიდ დღის განმავლობაში იომეს, მაგრამ ციხე ვერ აიღო ტემურმა. ქართველები

უმრავლეს მტერს არ ცოცხობდნენ და თავზე კაკალს ამტერებდნენ.

მაგრამ დაუდევარობამ ბოლოს ქართველები დალუბა. რადგან ციხე ძალიან მაგარი და შეუვალი იყო, ამისათვის ღამე არხინად ეძინათ ციხეში. და აი ერთ ღამეს ერთი თათარი ერთის კლდის ხერგელში აძერა ციხეში და ციხის გარემოება გაიკვლია. ამის შემდეგ ტემურმა დააწინაგინა ბაწრის კბეები, მერმე ისივე კაცი კლდის ხერგელში აძერა, აიტანა კიბე ციხეში, მოაბა მაგრა კლდის წვერას და ჩამოუშვა ძირს. ამ კიბეზე ავიდა მრავალი თათარი, ქართველებმა ვერ შეიტყეს, მივიდნენ და უცხრად ციხის კარები გააღეს. მაშინ შეიტყვეს ქართველებმა, შეებნენ კლავ ფიცხლად, დაერიგნენ ქართველნი გულითა სისხლითა მღვრელითა, განაპეს მრავალ-კენი იგი რაზმი მათი, და მსგავსად ქუხილთა იხილდებოდა მსმენელთაგან ცემნი და კვეთებანი აპჯართანი; ძლიერად ბრძოლა უყვეს ქართველთა, და უმრავლესნი მოსრნეს და დაკოვნეს; მაგრამ ჯარის სიმრავლისა გამო გამარჯვება მაინც ტემურს დარჩა. ომისაგან დაღლილი მამაცი ქართველები დიქურეს და წარკვეთეს თავები.

ასრე სახელოვანად და გმირულად დაინოცნენ ეს ქართველები; მაგრამ ხსენება მათი არ გასწყდება იმ დრომდე, ვიდრე ქართველები ტემურ-ლენგს ახსენებენ. მართალია ამათ საფლავიც კი არ ეღირსათ, მაგრამ გმირულად ბრწყინვალე სიკვდილი აწყო ხალხის ბნელს ცხოვრებაში შეადგენს სინათლეს და შემცვარავს იმის სიკოცხლეს გამამხნეველების მაგალითით; მართალია გაჰქრა მათი სიკოცხლე, მაგრამ სიკვდილის ფამს მამულს გაუღიმეს, რომ მამულს არ უმტყუნეს და მისგან მოცემული სისხლი გმირულად მამულსე დაუბრუნეს და თავის სიკვდილით მამულის სიკვდილი დაჰთრგუნეს; დაიხოცნენ,

მაგრამ, ჰოი გმირნო! ნუ შეშოთ დეობით, მქვენ სახსოვრი გაქვთ თვით განგებით; რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების, საშვილი-შვილად გარდაიცემის!

ინგილო ჯანაშვილი.

ლონდონში გამოსცემს წიგნთა ერთი წიგნი, რომლის ავტორი სხვა და სხვა მაგალითებითა და ისტორიით ამტკიცებს, რომ მომეტებულ შეთხვევებში ჰქვიან და ნიჭიერ მშობლებს ნიჭიერი შვილები ჰყავსო.

შესანიშნავია, რომ ჩვენში სულ ამის წინააღმდეგი აზრისანი არიან; ჩვენში ხშირად გაიგონებთ: ამ დალოცვილს მამის ჰქუის ცოტა რამ მაინც გამოჰყოლოდაო!

ინგლისში და განსაკუთრებით იტალიაში წელს საშინელ ზამთარს ამბობენ. იტალიის ზოგიერთ მთებში ორი არხინი თოვლი არისო, იწერებოან. მრთი ინგლისელი მონადირე ამბობს, რომ შოტლანდიის მთებში ვიყავი სანადიროთა და სამი დღის განმავლობაში ორმოცდა ათი გარეული თხა ენახეო, რომელნიც შიმშილისა და სიცივისაგან დახოცილიყვნენო.

ამას წინათ მდღესის ერთს ეკვლისაში ვილაც კეთილ-შობილი კაცი იწერდა თურმე ჯვარს. როდესაც მეფე-დედოფალი გვირგვინქვეშ იდგნენ, იმ დროს ერთი ვილაც ქალი შემოვარდა თურმე ეკვლისაში, მივარდა პატარძალს და ოქროს ძეწვეით დაკიდებული მედალიონი აავლიჯა კისერზედა. მს კიდევ არაფერი: როდესაც ჯვარის წერა გათავდა და ახალ ჯვარ-დაწერილები კარეტაში ჩაჯდომას აპირებდნენ, ამ დროს ერთხელ კიდევ მოვარდა თურმე ეს ქალი, თითო სილა აჭამა მეფე-პატარძალს და წავიდა.

ამბობენ, რომ ეს კაცი ამ ქალს დაჰპირდა თურმე შენ შეგიერთავო და მოატყუილა; ის მედალიონიც ამ ქალისთვის დაუტყუვნა.

თვილისის სამაჰურანლო (4 აპრილის სახსოვრად)

აუთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 9 საათიდან ვიდრე 1 საათამდე

მ. რ. შ. ბ. ა. თ. ექიმი მინკვეიჩი — ხირურგიის, პარყნიკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავთამყოფებისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფებისა.

ს. ა. შ. ბ. ა. თ. პარყნიკი — ყმაწვილებისა და ვენერიული ავთამყოფებისათვის სხუთ შ. ბ. ა. თ. პარყნიკი ყმაწვილებისა და ვენერიული ავთამყოფებისა. მარკაროვი და ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფებისათვის.

პარასკევს: მინკვეიჩი — ხირურგიისა, პარყნიკი — ყმაწვილებისა და ვენერ. ავთამყოფ., ლისიცივი — შინაგანი ავთამყოფებისათვის.

შ. ბ. ა. თ. მარკაროვი და ლისიცივი შინაგანი ავთამყოფებისათვის.

Table with columns: რა. ზ. ბ. ა., დილა, საღამ., II კ., III კ., ცხესლის გვეგები, უოშობა, ბირჰა, მან. კაპ, მაზანდა, მან. კაპ. Rows include medical and administrative data for various locations and dates.